საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY

MES 3 16 01129437

22/09/2016

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ თამარ სანიკიძეს

ქალბატონო თამარ,

გავითვალისწინეთ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შენიშვნა (წერილი #1122074, 21. 09. 2016) და წარმოგიდგენთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2016 წელს აპლიკანტთა ჩარიცხვისთვის სპეციალური ანკეტა-კითხვარის შესწორებულ ვარიანტს.

პატივისცემით,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო / უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებები / სსიპ სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტი / რექტორის აპარატი
რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში
ნიკოლოზ ახალკაცი

ქ. რუსთაველის ქ. №106. 0800 ახალციხე, საქართველო
106, Rustavelist., 0800 Akhaltsikhe, Georgia
http://www.sjuni.edu.g
ტელეფონი : 5(99) 063 366, 5(77) 050 640
ფაქსი: +995 365 22 19 90
ელ-ფოსტა: rector@sjuni.edu.geE-mail
ელ-ფოსტა: contact@sjuni.edu.geE-mail

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალური ანკეტა-კითხვარი

დანართი

ინფორმაცია სასწავლებლის შესახებ	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული სახელწოდება	სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
	იურიდიული მისამართი	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106
	პროგრამის განხორციელების ადგილი	სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსი
	ელ-ფოსტა, ტელეფონი (ფაქსი)	contact@sjuni.edu.ge ტელ: 0(365) 22 19 90/ 0 90 400 191
	ხელმძღვანელი პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა)	რექტორი: მერაბ ბერიძე, ტელ: 995 599 57-58-68, rector@sjuni..edu.ge; Beridze-merab@rambler.ru; რექტო მოადგილე - ნ. ახალკაცი, 577 987729, nikoaxal@rambler.ru;
	საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა)	ირმა ქურდაძე, ტელ: 599 17 71 09, irmakurdadze@gmail.com, irmak15@mail.ru

ინფორმაცია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
	პროგრამის საგნ(ებ)ის/მოდულ(ებ)ის დასახელება	მათემატიკა; ქართული ენა და ლიტერატურა; ინგლისური ენა; რუსული ენა; გერმანული ენა; ისტორია და საზოგადოებრივი მეცნიერებები; ბიოლოგია; გეოგრაფია; ქიმია; ფიზიკა.
	ინფორმაცია პროგრამის დამტკიცების შესახებ (აკრედიტაციის გადაწყვეტილების ნომერი, თარიღი)	გადაწყვეტილება №1, 17.03.2016
	პროგრამაზე ადგილების ჯამური რაოდენობა	53
	სწავლების ენა პროგრამის მიხედვით	ქართული
	პროგრამის მოცულობა კრედიტებში	60
	მიზანი და სწავლის შედეგი *	იხ. დანართი

ინფორმაცია მოდულის შესახებ

№	პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის მითითებით	ადგილების რაოდენობა თითოეული საგნის/მოდულის მიხედვით	სწავლის საფასური საგნის/მოდულის მიხედვით	დასაფინანსებელ პირთა რაოდენობა	ინფორმაცია საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობის შესახებ		
					უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული საგნის გამოცდა	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა	აპლიკანტ განსაზღ სპეციალ პირობ
1	ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური)	15	2150	7	ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);	შიდა გამოცდა (ზეპირი,წერილობითი)	
2	მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური)	15	2150	6	მათემატიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);	შიდა გამოცდა (ზეპირი,წერილობითი)	
3	ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური)	10	2150	5	ისტორია	შიდა გამოცდა (ზეპირი,წერილობითი)	
4	გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური)	5	2250	3	გეოგრაფია	შიდა გამოცდა (ზეპირი,წერილობითი)	
5	ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური)	5	2250	2	ფიზიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	შიდა გამოცდა (ზეპირი,წერილობითი)	
6	ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური)	5	2250	2	ქიმია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	შიდა გამოცდა (ზეპირი,წერილობითი)	
7	ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური)	5	2250	2	ბიოლოგია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	შიდა გამოცდა (ზეპირი,წერილობითი)	
8	ინგლისური ენა (საბაზო და საშუალო საფეხური)	20	2250	15	ინგლისური ენა(დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	შიდა გამოცდა (ზეპირი,წერილობითი)	
9	გერმანული ენა (საბაზო და საშუალო საფეხური)	2	2250	1	გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	შიდა გამოცდა (ზეპირი,წერილობითი)	
10	რუსული ენა (საბაზო და საშუალო საფეხური)	15	2250	10	რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	შიდა გამოცდა (ზეპირი,წერილობითი)	

შენიშვნა: მათემატიკის მოდული - ქართული სკოლა / ბილინგვური სკოლა

*მიზანშეწონილია წარმოდგენილ იქნეს დანართის სახით

ბეჭედი

ხელმოწერა

დანართი

მიზანი და სწავლის შედეგი

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანს წარმოადგენსუპასუხოს საქართველოს ზოგადი განათლების სფეროში არსებულ პრობლემებს, მოამზადოს შემოქმედებითი პედაგოგიური აზროვნების მქონე ისეთი უნარებით აღჭურვილი სპეციალისტი, რომელიც:

- წარმატებით გაუძღვება ქვეყნის განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებს;
- დააკმაყოფილებს და მოერგება რეგიონის საჭიროებებსა და სპეციფიკას;
- გამოიყენებს სწავლების დიფერენცირებული მიდგომის სტრატეგიებს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისათვის;
- გააუმჯობესებს მოსწავლეთა მიღწევებს საკუთარი საქმიანობისა და მოსწავლეთა შეფასების ანალიზის საფუძველზე;
- სრულყოფს თავის პედაგოგიურ პრაქტიკას;
- ითანამშრომლებ სკოლეგებთან პრობლემების ერთობლივად გადაჭრისა და პროფესიული განვითარებისთვის.

პროგრამის მიზანია ქართული ენისა და ლიტერტურის, უცხოური ენის, მათემატიკის (როგორც ქართულენოვან, ისე ბილინგვურ სკოლებში) ისტორია/საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლის მომზადება, როგორც საბაზო, ისე საშუალო სკოლის საფეხურებისთვის.

პროგრამა შემუშავებულია მასწავლებლის პროფესიის სახელმწიფო რეგულირების საფუძველების, მასწავლებლის განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის, 2015 წლის სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევის (TALIS) შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ანგარიშის, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით და ემსახურება ხარისხიანი განათლების დამკვიდრებას.

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება	1.1. იცნობს ეროვნული განათლების სისტემის სამართლებრივ საფუძვლებსა და სტრუქტურას; 1.2. გაცნობიერებული აქვს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები; 1.3. იცის საგნის/საგნობრივი ჯგუფის სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდები იმისათვის, რომ გაზარდოს მოტივაცია მოსწავლის უნარ-ჩვევების განსავითარებლად კრიტიკულ აზროვნებაში, პრობლემის გადაჭრის პროცესში; 1.4. იცის, როგორ დაგეგმოს, წარმართოს და შეაფასოს სასწავლო პროცესი, როგორც ერთენოვან, ისე ბილინგვურ გაკვეთილზე; შეუძლია არსებული რესურსების კლასიფიკაცია-კატეგორიზაცია; ქმნის სასწავლო მიზნის შესაბამის რესურსებს, მათ შორის - ციფრულს. 1.5. იცის, როგორ შექმნას ჯანსაღი,უსაფრთხო და წამახალისებელი სასწავლო გარემო.

	1.6. აქვს პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური თეორიების ცოდნა და შეუძლია ამ თეორიების კრიტიკულად გაცნობიერება. იცის მოსწავლეთა ასაკობრი ვითავისებურებები, სწავლისა და განათლების თეორიები მოსწავლეების ფიზიკური, კოგნიტური, სოციალურ-პიროვნული განვითარების თავისებურებები; 1.7. იცის ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	2.1. შეუძლია სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა საგნის ცოდნაზე დაყრდნობით, მოსწავლეების საზოგადოებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, საგაკვეთილო გეგმებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნა; სკოლის პრიორიტეტების და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით მასწავლებელი შეიმუშავებს თემატურ სასწავლო გეგმებს. გაკვეთილის დაგეგმვისას ითვალისწინებს შიდა და საგანთაშორის კავშირებს. 2.2. შეუძლია სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდის, სტრატეგიის და ხერხის გამოყენება მოსწავლეთა მიღწევების ამაღლების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით. 2.3. შეუძლია მოტივაციის ამაღლების სხვადასხვა საშუალებით ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალურ ურთიერთობებს, მათი მოტივაციის გაზრდას; თითოეული მოსწავლის ჩართულობასა და ინდივიდუალურ პროგრესზე დაკვირვებითი რჩევს მოტივაციის ამაღლების შესაბამის სტრატეგიებს; შეუძლია სწავლისა და განვითარების თეორიების გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისათვის. 2.4შეუძლია სპეციალურ მასწავლებელთან თანამშრომლობით განსხვავებული შესაძლებლობის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა და სასწავლო პროცესის მართვა; ქმნის მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესზე ორიენტირებულ გარემოს და უზრუნველყოფს კლასში მოსწავლის ინტეგრაციას. 2.5.აქვს მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრისა და მასზე რეაგირების უნარი. შეუძლია იმის გაანალიზება, რომ მოსწავლეები ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით განსხვავადებიან სწავლისადმი მიდგომებით და შეუძლია სწავლების ისეთი პირობების შექმნა, რომელიც ადაპტირებულია სხვადასხვა ტიპის მოსწავლისათვის. 2.6.აქვს მოსწავლეებისა და მშობლებისათვის პედაგოგიური კონსულტაციის გაწევის უნარი. კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, ირჩევს მოსწავლის მშობლებთან და სხვა კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობის მიდგომებს. 2.7. შეუძლია ჯანსაღი, უსაფრთხო და წამახალისებელი სასწავლო გარემოს შექმნა. იყენებს მოსწავლეთა კულტურულ მრავალფეროვნებას დადებითი სასწავლო გარემოს შესაქმნელად.
დასკვნის გააკეთების უნარი	3.1. შეუძლია საკუთარი პრაქტიკის კვლევის/ანალიზის/შეფასების საფუძველზე ინდივიდუალური პროფესიული განვითარების დაგეგმვა და სწავლა/სწავლების პროცესის გაუმჯობესების სტრატეგიის ჩამოყალიბება, კოლეგებთან ერთად სპეციალური კვლევითი საქმიანობების დაგეგმვა და გამოყენება პრაქტიკაში; 3.2.შეუძლია პროფესიული სიტუაციების ანალიზი, შეუძლია პრობლემების იდენტიფიცირება; მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტა და დასკვნის

	გაკეთება.
კომუნიკაციის უნარი	4.1. შეუძლია პროფესიულ საკითხებზე კომუნიკაცია კოლეგებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან, სხვა დაინტერესებულ პირებთან. გასაგებ და აკადემიურ დონეზე წერილობითი და ზეპირი ფორმით. შეუძლია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან გასაგებ და აკადემიურ დონეზე წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია; 4.2. აქვს სასწავლო პროცესში თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი.
სწავლის უნარი	5.1. აქვს უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებების გაცნობიერებისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარი; შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და ანალიზი. აქვს წყაროებიდან ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და სასწავლო გარემოში ინტეგრირების უნარი; 5.2.შეუძლია საკუთარი პედაგოგიური ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. პროფესიულ განვითარებას გეგმავს საკუთარი საქმიანობის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე.
ღირებულებები	6.1. იცნობს მასწავლებლის ეთიკის კოდექსს და მოქმედებს მის შესაბამისად; 6.2. ხელს უწყობს მოსწავლეებში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებასა და განვითარებას; 6.3. აქვს როგორც ლოკალურ, ასევე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პროფესიული ფასეულობების გაზიარებისა და პრაქტიკაში რეალიზების უნარი. შეუძლია საკუთარი და სხვათა პიროვნული ღირებულებების პატივისცემა, აქვს რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე მულტიეთნიკურ გარემოში რეალიზების უნარი.